

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და რუსეთის 24 წლიანი ტოქსიკური ურთიერთობის „დასასრულის დასაწყისი“

თამარ ქეცბაია\*

საბჭოთა კავშირის დაშლიდან მალევე, ტრანზიციის გზაზე რუსეთმა ევროპის საბჭოს კარზე დააკაკუნა და იმის მიუხედავად, რომ იმ დროისთვის ჩეჩნეთში მწვავე შიდა შეიარაღებულ კონფლიქტში იყო ჩართული,<sup>1</sup> 1996 წლის 28 თებერვალს ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდა. ხოლო ევროპულ კონვენციას 1998 წლიდან შეუერთდა და ამით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის გავრცელებაზე და სასამართლოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსასრულებლად სავალდებულო ბუნებაზე თანხმობა გამოხატა.

თავის მხრივ, რუსეთისთვის ევროსაბჭოს კარი, მიუხედავად მის მიერ გადადგმული რიგი ნაბიჯებისა, მათ შორის, 1993 წელს დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებისა, არა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კუთხით უკვე მიღწეული შედეგის გამო და წვერობისთვის გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილებისთვის გაიღო, არამედ უფრო მეტად რუსეთის მიერ აღებული სამომავლო ვალდებულებების გამო<sup>2</sup> და იმ იმედით, რომ რუსეთი გამოიყენებდა შესაძლებლობას, ევროპული ინსტიტუტების მხარდაჭერით გამხდარიყო ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი. თუმცა, რუსეთმა იმედების გაცრუება და უკუსვლა მალევე დაიწყო, რამაც ადვილად განჭვრეტადი გახდა რომ რუსეთი არა თუ შანსის გამოყენებას არ აპირებდა, არამედ, მისი პოლიტიკა და მისგან გამომდინარე წნეხი, სხვა ახალგაწევრიანებული პოსტ-კომუნისტური ქვეყნებისთვისაც შეამცირებდა დემოკრატიზაციისკენ სწრაფ სვლას, როგორც მინიმუმ, შეაფერხებდა ამ პროცესში ევროპის საბჭოს ორგანოების სრულყოფილად

\*კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise („გნომონ ვაიზი“) მკვლევარი, საქართველოს უნივერსიტეტი.

Email: [t.ketsbaia@ug.edu.ge](mailto:t.ketsbaia@ug.edu.ge)

<sup>1</sup>Bill Bowring, "Russia And The European Convention (Or Court) Of Human Rights: The End?", *Revue Quebecoise de Droit International* 33, no. Special Issue (December 2020): 201-218, 204.

<sup>2</sup> Lauri Mälksoo, "Introduction: Russia, Strasbourg, and the paradox of a human rights backlash". In L. Mälksoo & W. Benedek (Eds.), *Russia and the European Court of Human Rights: The Strasbourg Effect* (European Inter-University Centre for Human Rights and Democratisation). Cambridge: Cambridge University Press (2017): 3-25.

ჩართულობის შესაძლებლობას. მეტიც, 10 წლის თავზე გაჩნდა კითხვა, თუ რა გავლენა ჰქონდა ევროპის საბჭოს რუსეთზე და რა გავლენა ჰქონდა თავად რუსეთს საბჭოს ბუნების ცვლილებაზე?<sup>3</sup>

ევროპის საბჭოს და რუსეთის დასაწყისიდანვე საკმაოდ რთული ურთიერთობა, სულ რამდენიმე წელიწადში, თამამად შეიძლება ითქვას, ტოქსიკურ ურთიერთობაში გადაიზარდა. ევროპის საბჭოს ასამბლეაში ხმის უფლების ზედიზედ ორჯერ შეჩერება (2000 და 2014 წლებში), რუსეთის მხრიდან საბჭოს დატოვებით გამუდმებული წარმატებული მანიპულირება, ზოგადად საბჭოს ორგანოების, განსაკუთრებით კი ევროპული სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა, რაც მისი გადაწყვეტილებების არ აღიარებასა და აღუსრულებლობაში გამოიხატებოდა, კრიზისში შესული ევროპული სასამართლოსთვის არაეფექტიანობის პრობლემაზე დროული რეაგირების მოსპობითა და უკიდურესად გადატვირთვით მისთვის საბოტაჟის მოწყობის მცდელობა, საბოლოოდ, ევროპის საბჭოდან რუსეთის გარიცხვით, ევროპული კონვენციის დენონსაციითა და მეტიც, საპარლამენტო ასამბლეის მიერ რუსეთის მოქმედი რეჟიმის „ტერორისტულ რეჟიმად“ გამოცხადებით<sup>4</sup> დასრულდა.

თუმცა, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე და იმ რიგი გაურკვევლობების გათვალისწინებით, რომელიც, ერთი მხრივ, რუსეთისა და საბჭოს, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთისა და ევროპული სასამართლოს ურთიერთობების შეწყვეტას ახლავს თან, მით უფრო კი ამ მოვლენის სამომავლო, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი შედეგების განუჭრეტელობის გათვალისწინებით, ისმის ლოგიკური კითხვა - **ეს არის ურთიერთობის დასასრული თუ ყველაფერი მხოლოდ ახლა იწყება?** წინამდებარე ნაშრომიც სწორედ რუსეთთან დაკავშირებით ამ გამოცდილების შეხსენებას, ევროპულ სასამართლოსთან მიმართებით არსებული მდგომარეობის და ამ მხრივ მიმდინარე თუ სამომავლო გამოწვევების განხილვას ისახავს მიზნად.

## **ევროპული კონვენციის რატიფიცირებიდან - დენონსაციამდე: რუსეთი ევროპული სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ**

ევროპის საბჭოში რუსეთის გაწევრიანებიდან მალევე, ჩეჩნეთის მეორე ომის გამო, სადავო გახდა მისი წევრობის საკითხი, თუმცა რუსეთისთვის გაცემული პასუხი 2000 წელს რუსეთის

---

<sup>3</sup> Jean-Pierre Massias, "Russia and the Council of Europe: Ten Years Wasted?", *Russie, Nei.Visions* n.15, January 2007. [https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ifri\\_CE\\_massias\\_ang\\_jan2007.pdf](https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ifri_CE_massias_ang_jan2007.pdf), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>4</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution 2463 (2022) on Further escalation in the Russian Federation's aggression against Ukraine (adopted by the Assembly on 13 October 2022 (32<sup>nd</sup> sitting). Provisional version. <https://pace.coe.int/en/files/31390/html>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

დღეგაცისთვის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ხმის უფლების შეჩერებით შემოიფარგლა.<sup>5</sup> მართალია, ასამბლეაში რუსეთს შეჩერებული უფლებები 2001 წლის იანვრიდან აღუდგა,<sup>6</sup> თუმცა, რუსეთმა საბჭოს და სასამართლოს „დასჯა“ მარტივად არ აპატია, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს გამუდმებით ბრალს სდებდა ანტირუსულ მიკერძობაში.<sup>7</sup> შედეგად, რუსეთმა 2004 წელს მიღებული კონვენციის მე-14 ოქმის<sup>8</sup> ამოქმედებაზე „ვეტოს უფლება“<sup>9</sup> გამოიყენა. მე-14 ოქმი მიმართული იყო კრიზისში შესული სასამართლოს განტვირთვისა და გრძელვადიანი ეფექტიანობის უზრუნველყოფისაკენ.<sup>10</sup> აღსანიშნავია, რომ მე-14 ოქმზე დიდი იმედები მყარდებოდა, მაგრამ ის არასდროს ყოფილა მიჩნეული პანაცეად, რომელიც ევროპულ სასამართლოს შექმნილი კრიზისიდან ერთი ხელის მოსმით გამოიყვანდა.<sup>11</sup> რუსეთის მიერ ამ რატიფიცირებაზე უარის გამო მისი ამოქმედების 6 წლით გადავადებამ, რაც ვლადიმერ პუტინის განმარტებით, რუსეთის წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ „წმინდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე“ რუსეთის დუმას პასუხს წარმოადგენდა,<sup>12</sup> სასამართლო იმდენად მძიმე კრიზისში შეიყვანა, რომ მხოლოდ ამ ოქმის ამარა დარჩენა წარმოუდგენელი იქნებოდა. რუსეთის მიერ შექმნილ დაბრკოლებაზე გვერდის ავლის საშუალება წევრმა ქვეყნებმა 2009 წელს გამოძებნეს, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ,<sup>13</sup> რომ დაუყოვნებლივ ამოქმედებინათ დროებითი დებულებები (ერთი

---

<sup>5</sup> Philip Leach, “A time of Reckoning? Russia And The Council of Europe”, Strasbourg Observers, March 17, 2022. <https://strasbourgoobservers.com/2022/03/17/a-time-of-reckoning-russia-and-the-council-of-europe/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>6</sup> Pamela A. Jordan, “Russia’s Accession to the Council of Europe and Compliance with European Human Rights Norms”, 2003.

<sup>7</sup> Courtney Hillebrecht, “Rights at risk: Russia’s withdrawal from the ECtHR”, Open Global Rights, May 26, 2022. <https://www.openglobalrights.org/rights-at-risk-russias-withdrawal-from-the-ecthr/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>8</sup> Council of Europe, “Protocol No. 14 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, amending the control system of the Convention,” *Council of Europe Treaty Series – No. 194*, Strasbourg, 13.V.2004. <https://rm.coe.int/1680083711>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>9</sup> ამ ოქმის ძალაში შესასვლელად საჭირო იყო ყველა წევრი ქვეყნის პარლამენტების მიერ მისი რატიფიცირება. 2006 წლისთვის, იმ დროისთვის არსებული 47 წევრი ქვეყნიდან 46 სახელმწიფოს რატიფიცირებული ჰქონდა აღნიშნული ოქმი. მხოლოდ რუსეთი არ ახდენდა მის რატიფიცირებას, რაც მის ძალაში შესვლას აფერხებდა. 2010 წლის 18 თებერვალს მოახდინა რატიფიცირება. იხ. Council of Europe, “Chart of signatures and ratifications of Treaty 194.” <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatyenum=194>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>10</sup> ის სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებდა მარტივი საქმეების განხილვისთვის ახალი, მცირე სასამართლო დანაყოფის შექმნას და ამ გზით სასამართლოს დროისა და სხვა რესურსის გამოთავისუფლებას უფრო დიდი სამართლებრივი მნიშვნელობის საქმეების ან სასწრაფო საქმეებისთვის და ასევე განმცხადებლისთვის მიყენებული ზიანის ხარისხთან დაკავშირებული დასაშვებობის ახალ კრიტერიუმს, რაც მიზნად ისახავდა განცხადების შეტანის თავიდან აცილებას იმ პირთაგან, რომელთაც მნიშვნელოვანი ზიანი (Significant Disadvantage) არ განუცდიათ.

<sup>11</sup> Speech given by Mr Luzius Wildhaber, President of the European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial Year, 21 January 2005. in. Council of Europe, “Annual Report 2004 of the European Court of Human Rights”, 32.

<sup>12</sup> Julia Lapitskaya, “ECHR, Russia And Chechnya: Two Is Not Company And Three Is Definitely A Crowd”, New York University Journal of International Law And Politics, vol. 43, no.2 (2011): 479-546, 499.

<sup>13</sup> Council of Europe, “Protocol No. 14 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, amending the control system of the Convention: Agreement on the provisional application of certain provisions of Protocol No.

მოსამართლის დანაყოფის შექმნისა და სამი მოსამართლისგან შემდგარი კომიტეტის გაძლიერების შესახებ) იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც თანხმობას გამოთქვამდნენ ამ ოქმის წინასწარ გამოყენებაზე<sup>14</sup> ან მათთვის, ვინც მე-14 bis ოქმზე<sup>15</sup> (რომელიც მადრიდში მიიღეს და ძალაში 2009 წლის 1-ელ ოქტომბერს შევიდა) თანხმობას გამოთქვამდნენ. შედეგად, 19 ქვეყნის შემთხვევაში აღნიშნული ნორმები ძალაში შევიდა უშუალოდ მე-14 ოქმის ძალაში შესვლამდე, მათ შორის იყო საქართველოც (01/01/2010).<sup>16</sup> მას შემდეგ რაც რუსეთს ხელიდან გამოეცალა მანიპულირების ეს ინსტრუმენტი და მისმა ბოიკოტმა აზრი დაკარგა, თავადაც მოახდინა ამ ოქმის რატიფიცირება და მე-14 ოქმი ძალაში 2010 წლის 1-ლი ივნისიდან შევიდა. შესაბამისად, ამ დღიდან, ოქმით გათვალისწინებული ცლილებები სავალდებულო გახდა კონვენციის ხელშემკვრელი ყველა ქვეყნისთვის.<sup>17</sup>

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის ბოლოსთვის სასამართლოს დანაყოფების წინაშე განსახილველად 140 000-მდე საჩივარი, ხოლო წინასასამართლო ეტაპზე - 22 000 მდე საჩივარი ირიცხებოდა. ამასთან, იმ დროისთვის 47 წევრი ქვეყნიდან, მიმდინარე საქმეების ყველაზე დიდი წილი რუსეთზე მოდიოდა. კერძოდ, 2010 წლის ბოლოსთვის სასამართლოს დანაყოფების წინაშე არსებული დაახლოებით 140 000 საჩივრის 29% (40 295 საჩივარი), რუსეთის წინააღმდეგ იყო წარმოებული.<sup>18</sup> ეს მაჩვენებლები კარგად ასახავს სასამართლოს გადატვირთულობას და რუსეთის დიდ წვლილს ამ შედეგის დადგომაში.

რუსეთსა და საბჭოს შორის, შესაბამისად სასამართლოს შორის ურთიერთობა, მორიგ ჯერზე 2014 წელს რუსეთის ყირიმში შეჭრის შემდეგ დაიძაბა. კერძოდ, უკრაინის ტერიტორიის ანექსიაზე პასუხად, საპარლამენტო ასამბლეამ, რეზოლუცია მიიღო ანექსიის დაგმობისა და რუსეთის დელეგაციისთვის ასამბლეაში ხმის უფლების შეჩერების შესახებ.<sup>19</sup> ამ რეზოლუციით,

---

14 pending its entry into force” *Council of Europe Treaty Series* – no. 194, Madrid, 12.05.2009. <https://rm.coe.int/1680083718>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>14</sup> Ibid. “List of the High Contracting Parties having accepted the provisional application of certain provisions of Protocol No. 14.”

<sup>15</sup> Council of Europe, Protocol No. 14 bis to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, *Council of Europe Treaty Series* – no. 204, Strasbourg, 27.05.2009. <https://rm.coe.int/1680084825>, წვდომის თარიღი: 17/11/2022. მან ძალა დაკარგა 2010 წლის 1-ლ ივნისს მე-14 ოქმის ძალაში შესვლისთანავე.

<sup>16</sup> Council of Europe, “Chart of signatures and ratifications of Treaty 204”. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treaty=204>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>17</sup> Council of Europe, “Annual Report 2009 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2010), 12. [https://www.echr.coe.int/Documents/Annual\\_report\\_2009\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2009_ENG.pdf), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>18</sup> Council of Europe, “Annual Report 2010 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2011), 146. [https://www.echr.coe.int/Documents/Annual\\_report\\_2010\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2010_ENG.pdf), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>19</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution 1900 (2014) on Reconsideration on substantive grounds of the previously ratified credentials of the Russian delegation (Adopted by the Assembly on 10 April 2014 (16<sup>th</sup> Sitting)). <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=20882&lang=en>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

ასევე რუსეთს ასამბლეის სხვა ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილებაც შეუჩერდა.<sup>20</sup> თუმცა, ხაზი გაესვა, რომ ასამბლეის ინტერესში არ შედიოდა რუსეთის დელეგაციისთვის ზოგადად უფლებამოსილების შეჩერება, რადგან აუცილებელი იყო დარჩენილიყო სივრცე პოლიტიკური დიალოგისთვის, რამდენადაც ასამბლეა განიხილებოდა კარგ პლატფორმად, რომელზეც წევრი ქვეყნის წარმომადგენლები დაუპირისპირდებოდნენ რუსეთს კითხვებით და ფაქტებით და მოთხოვდნენ მათზე პასუხების გაცემასა და დააკისრებდნენ პასუხისმგებლობას.<sup>21</sup> შეჩერება თავდაპირველად 2014 წლის დასასრულამდე იყო გათვალისწინებული, თუმცა რუსეთის მხრიდან პრობლემის აღმოუფხვრელობის გამო, 2015 სესიის განმავლობაში მისი მოქმედება გახანგრძლივდა.<sup>22</sup>

ეს ღონისძიებები რუსეთისთვის კარგი საბაბი აღმოჩნდა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სავალდებულობის გადახედვის საკითხის წამოსაჭრელად, იმაზე აპელირებით, რომ მის დელეგაციას არ მიუღია მონაწილეობა სასამართლოს მოსამართლეების დიდი ნაწილის არჩევაში.<sup>23</sup> თუმცა, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს მსგავსი სურვილები გაუჩნდათ და მათი სისრულეში მოყვანა სცადეს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის შესახებ კანონპროექტი პირველად საქმეზე *მარკინი რუსეთის წინააღმდეგ (Markin v. Russia)*<sup>24</sup> 2010 წელს ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების პასუხად მომზადდა.<sup>25</sup> ამ საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის დარღვევა დაადგინდა და შესაბამისად, არ გაითვალისწინა ეროვნულ დონეზე, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც რუსეთის კონსტიტუციასთან შესაბამისად შეფასდა კანონი, რომელიც სამხედრო მოსამსახურე მამაკაცისთვის ბავშვის მოვლისთვის შვებულებას მხოლოდ სამი თვით იძლეოდა, განსხვავებით ქალისგან, რომლის შემთხვევაშიც ეს ვადა 3 წელს უდრიდა. იმ ეტაპზე პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებითა და თავად კანონპროექტთან დაკავშირებული ტექნიკური

---

<sup>20</sup> Ibid.

<sup>21</sup> Ibid. § 14.

<sup>22</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution 2034 (2015) on Challenge, on substantive grounds, of the still unratified credentials of the delegation of the Russian Federation (Adopted by the Assembly on 28 January 2015 (6th Sitting). <http://assembly.coe.int/nw/xml/xref/xref-xml2html-en.asp?fileid=21538&lang=en>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>23</sup> Lize R. Glas, "Russia Left, Threatened And Won: Its Return To The Assembly Without Sanctions", *Strasbourg Observers*, July 2, 2019. <https://strasbourgobservers.com/2019/07/02/russia-left-threatened-and-has-won-its-return-to-the-assembly-without-sanctions/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>24</sup> *Markin v. Russia*, no. 30078/06, 07 October 2010.

<sup>25</sup> William E. Pomeranz, "Uneasy Partners: Russia and the European Court of Human Rights", *The Human Rights Brief* 19, no. 3 (Spring 2012):17-63, 19.

ხარვეზების გამო, 2011 წელს კანონპროექტზე უარი თქვეს.<sup>26</sup> თუმცა, განზრახვა სისრულეში მალევე მოიყვანეს. კერძოდ, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში 2015 წლის 14 დეკემბრიდან შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებამოსილება ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების „შესრულების შეუძლებლობის“ შესახებ განაცხადოს თუ ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაშია რუსეთის კონსტიტუციასთან.<sup>27</sup> რის შედეგადაც, თანამედროვე ისტორიაში პირველად, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებადობის საკითხი. კერძოდ, 2016 წლის 19 აპრილს რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება, რამდენადაც ის წინააღმდეგობაშია რუსეთის კონსტიტუციასთან.<sup>28</sup> ამ შემთხვევაში საქმე (*ანჩუგოვი და გლადკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Anchugov and Gladkov v. Russia)*) ეხებოდა რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით პატიმრებისთვის საარჩევნო უფლების შეზღუდვას, რაც 2013 წელს, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის დარღვევად ცნო და რუსეთის ფედერაციას სადავო კონსტიტუციური დებულებების ახლებური და იმგვარი ინტერპრეტაცია დაავალა, რომელიც უზრუნველყოფდა პატიმართა საარჩევნო უფლების დაცვას.<sup>29</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციამ, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, საერთაშორისო ორგანოების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, კონსტიტუციური ცვლილებების გზით, 2020 წლიდან რუსეთის კონსტიტუციით დაამტკიცა.<sup>30</sup>

2016 წელს რუსეთმა, იგრძნო რა, რომ მისი ქმედებები კვლავ არ იძლეოდა ასამბლეის მხრიდან რუსეთთან დაკავშირებით განსხვავებული მოპყრობის საფუძველს, შესაბამისად მისი დელეგაციისთვის შეჩერებული უფლებების აღდგენა არ იყო მოსალოდნელი და მეტიც, მისი დელეგაციისთვის უფლებამოსილების მინიჭებაც კი სათუო ხდებოდა, თავად ჩადგა

---

<sup>26</sup> Ibid.

<sup>27</sup> Natalia Chaeva, “The Russian Constitutional Court and its Actual Control over the ECHR Judgement in Anchugov and Gladkov,” *EJIL:Talk*, April 26, 2016. <https://www.ejiltalk.org/the-russian-constitutional-court-and-its-actual-control-over-the-ecthr-judgement-in-anchugov-and-gladkov/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>28</sup> Peter Roudik, “Russian Federation: Constitutional Court Allows Country to Ignore ECHR Rulings,” Library of Congress, May 18, 2016. <https://www.loc.gov/item/global-legal-monitor/2016-05-18/russian-federation-constitutional-court-allows-country-to-ignore-ecthr-rulings/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>29</sup> *Anchugov and Gladkov v. Russia*, nos. [11157/04](#) and [15162/05](#), 4 July 2013.

<sup>30</sup> European Commission for Democracy Through Law, “Opinion No. 981/2020 On The Draft Amendments To The Constitution Related To The Execution In The Russian Federation Of Decisions By The European Court Of Human Rights,” Strasbourg, 18 June 2020. CDL-AD(2020)009. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2020\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2020)009-e), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

„განაწყენებულის“ პოზიციაში, თავად თქვა უარი დელეგაციის წარდგენაზე და განაცხადა რომ არ დაბრუნდებოდა ასამბლეაში სანამ ასამბლეა არ დათმობდა მის უფლებას ნებისმიერი დელეგაციისთვის ხმის მიცემისა და წარმომადგენლობაზე უარის თქმის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯმა არ გაამართლა, რუსეთმა იგივე პოზიცია 2017 და 2018 წლებშიც შეინარჩუნა. შესაბამისად, რუსეთის პარლამენტარებს არ მიუღიათ მონაწილეობა ასამბლეის მუშაობაში 2016 წლიდან.<sup>31</sup>

## ფინანსური კრიზისი და გამარჯვებული რუსეთი

2017 წლიდან საპარლამენტო ასამბლეისთვის დელეგაციის წარუდგენლობასთან ერთად, რუსეთმა დამატებით, შეიძლება ითქვას, უკიდურეს ღონისძიებასაც მიმართა. კერძოდ, უარი განაცხადა სავალდებულო ფინანსური კონტრიბუციის შეტანაზე და ამით უდიდესი დარტყმა მიაყენა ევროპულ სასამართლოს და სრულიად საბჭოს ერთ-ერთ ყველაზე სუსტ წერტილში - ბიუჯეტში.

2017 წელს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი აჩერებდა ყოველწლიურ შენატანს (რაც 33 მილიონს შეადგენდა) ასამბლეის მიერ რუსეთის დელეგაციის მიმართ განხორციელებული „დევნისთვის“ და განმარტა, რომ არც მომავალი წლის შენატანებს განხორციელებდა, სანამ რუსეთის დელეგაციის უფლებები სრულად არ აღუდგებოდა.<sup>32</sup> ამასთან, რუსეთმა მოითხოვა ასამბლეის წესების შეცვლა, რომელიც ეროვნული დელეგაციების გარიცხვის შესაძლებლობის დათმობას გულისხმობდა.<sup>33</sup>

რუსეთის მხრიდან საბჭოს დაფინანსების შეწყვეტა ეკონომიკურად განსაკუთრებული დარტყმა აღმოჩნდა იმის გათვალისწინებით რომ ის დაემთხვა თურქეთის მიერ გადასახადების გადახდისგან თავშეკავებას. რუსეთი კი იმ ფორმულის<sup>34</sup> მიხედვით, რომელიც წევრი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობისა და მთლიანი შიდა პროდუქტის გათვალისწინებით განსაზღვრავს ამ ქვეყნის სავალდებულო შენატანის მოცულობას, გერმანიასთან, საფრანგეთთან, გაერთიანებულ სამეფოსა და იტალიასთან ერთად, ყველაზე დიდ კონტრიბუტორს წარმოადგენდა. 2016 წლიდან მათ რიგებს შეემატა თურქეთიც, რომელმაც გადაწყვიტა რა რომ

---

<sup>31</sup> Andrew Drzemczewski and Kanstantsin Dzehtsiarou, "Painful Relations between the Council of Europe and Russia", *European Journal of International Law*, September 28, 2018. <https://www.ejiltalk.org/painful-relations-between-the-council-of-europe-and-russia/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>32</sup> Bowring, "Russia And The European Convention (Or Court) Of Human Rights: The End?", 215.

<sup>33</sup> Drzemczewski and Dzehtsiarou, "Painful Relations between the Council of Europe and Russia".

<sup>34</sup> "Where does the money come from?", Council of Europe – Budget. <https://www.coe.int/en/web/about-us/budget>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

საბჭოსთვის ერთ-ერთი მსხვილი კონტრიბუტორი გამხდარიყო, მის სავალდებულო შენატანთან ერთად, დამატებითი თანხის გადახდა იკისრა.<sup>35</sup> აღნიშნული სტატუსი თურქეთმა 2017 წელს შეიჩერა და უარი განაცხადა დაპირებულ გაზრდილ კონტრიბუციაზე.<sup>36</sup> თუკი რუსეთის შემთხვევაში ეს იყო პასუხი ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებულ კრიტიკაზე, თურქეთმა ერთგვარად დასაჯა საბჭო იმისთვის, რომ ვაცლავ ჰაველის ადამიანის უფლებების ჯილდოთი დააჯილდოვეს პატიმრობაში მყოფი თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე მურატ არსლანი, რომელსაც ანკარა ფეთულა გიულენის მხარდაჭერას სდებდა ბრალად.<sup>37</sup> თუმცა, რუსეთისგან განსხვავებით, თურქეთმა უარი თქვა იმის გადახდაზე, რასაც ნებაყოფლობით იხდიდა. რუსეთმა კი - მის სავალდებულო შენატანზე.

შექმნილმა ვითარებამ ფინანსური კრიზისის გაღრმავების თავიდან ასაცილებლად გრძელვადიან პერსპექტივაში საბჭოს ბიუჯეტის გადახედვისა და „ქამრების შემოჭრისკენ“ უბიძგა.<sup>38</sup> ამასთან, ამ ფაქტმა ნათელი გახადა, რომ ფინანსები საბჭოზე ზემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რაც რუსეთმა წარმატებით გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ ფინანსური შენატანების შეწყვეტა განსაკუთრებით დიდ წნეხს წარმოადგენს ევროპული სასამართლოსთვის, რამდენადაც სასამართლოს არ გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი და ის სრულად დამოკიდებულია ევროპის საბჭოზე<sup>39</sup> შესაბამისად, იმის მიხედვით თუ როგორი გავლენა ექნება ფინანსურ კრიზის საბჭოზე, საჭირო შეიძლება გახდეს სასამართლოს ბიუჯეტში არსებითი ცვლილებებიც.<sup>40</sup>

რუსეთის ეს ნაბიჯი ერთი მხრივ, რუსეთის კონტრიბუციის მოცულობიდან, ხოლო, მეორე მხრივ, თავად სასამართლოს წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, რომელთა გამკლავებასაც არსებული რესურსებიც კი არ ყოფნიდა, სასამართლოსთვის განსაკუთრებით

---

<sup>35</sup> Kanstantsin Dzehtsiarou and Donal K Coffey, “Suspension and expulsion of members of the Council of Europe: Difficult decisions in troubled times”, *International and Comparative Law Quarterly* 68(2). (2019):443-476, 459.

<sup>36</sup> Ibid.

<sup>37</sup> Ibid.

<sup>38</sup> Mikhail Bushuev and Markian Ostapchuk, “Funding crisis for Council of Europe?”, *Deutsche Welle (DW)*, 03/01/2018. <https://www.dw.com/en/russia-withholds-payments-to-the-council-of-europe/a-42792673>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>39</sup> “Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms,” opened for signature November 4, 1950, *European Treaty Series* no.5, Article 50. [https://www.echr.coe.int/Documents/Convention\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>40</sup> Lize R. Glas, “The Assembly’s Row With Russia And Its Repercussions For The Convention System”, *Strasbourg Observers*, October 30, 2017. <https://strasbourgobservers.com/2017/10/30/the-assemblys-row-with-russia-and-its-repercussions-for-the-convention-system/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.



დიდი გამოწვევა აღმოჩნდა,<sup>41</sup> რასაც ემატებოდა უშუალოდ ყირიმის ომის შედეგად ათასობით საჩივარი და სამი სახლმწიფოთაშორისი საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ.<sup>42</sup>

რუსეთის მხრიდან ტაქტიკური ზეწოლის და როგორც ეს ბევრისთვის დანახული იყო - „მანტაჟის“ შედეგად, 2019 წელს გარკვეულ დათმობებზე წავიდა საბჭო და შეთანხმებების შედეგად მაისში 47 წევრი ქვეყნის მთავრობების 30 მინისტრმა<sup>43</sup> მიიღო გადაწყვეტილება,<sup>44</sup> რომ ყველა წევრ ქვეყანას თანაბარ საფუძვლებზე უნდა ჰქონდეს მინისტრთა კომიტეტისა და საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობის უფლებამოსილება. მინისტრთა კომიტეტის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება, ასამბლეის უფლებამოსილებაში ჩარევად შეფასდა, რის სამართლებრივ საფუძველსაც საბჭოს წესდება არ ითვალისწინებდა.<sup>45</sup> თავის მხრივ, ასამბლეამ, მხედველობაში მიიღო რა მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება, გამოსცა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში, გამონაკლისი დაუშვა დელეგაციისთვის უფლებამოსილების მინიჭების წესიდან და წევრი ქვეყნის პარლამენტების მიერ ნაცვლად წლის პირველ სესიამდე (იანვრის სესია) დელეგაციის წარდგენისა, მიმდინარე ივნისის სესიაზე დაუშვა იმ ქვეყნის დელეგაციის წარდგენა, რომელიც იმ დროისთვის არ იყო წარმოდგენილი (რუსეთი და ბოსნია და ჰერცეგოვინას დელეგაციები).<sup>46</sup> ამასთან, ასამბლეამ იმისათვის რომ უზრუნველყო წევრი ქვეყნების წარმომადგებლობისა და მონაწილეობის უფლებებისა და ვალდებულებების დაცვა ევროსაბჭოს ორივე ორგანოში, რეგლამენტის მე-10 მუხლში შეიტანა ცვლილება და დაამატა შემდეგი განმარტება: „წევრების უფლება ხმის მიცემის, გამოსვლისა და წარმომადგენლობის ასამბლეაში და მის ორგანოებში არ უნდა შეჩერდეს ან გაუქმდეს უფლებამოსილების გასაჩივრებისა და ხელახალი განხილვის კონტექსტში“.<sup>47</sup>

შედეგად, საქართველოსა და უკრაინის პროტესტის მიუხედავად, საბჭოსა და რუსეთს შორის წლების განმავლობაში არსებული კონფლიქტი, რუსეთისთვის საერთაშორისო სანქციის

---

<sup>41</sup> Speech given by Mr Guido Raiomondi, President of the European Court of Human Rights, on the occasion of the opening of the judicial Year, 26 January 2018. in. Council of Europe, “Annual Report 2018 of the European Court of Human Rights”, 13. [https://www.echr.coe.int/Documents/Annual\\_report\\_2018\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2018_ENG.pdf), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>42</sup> Glas, “The Assembly’s Row With Russia And Its Repercussions For The Convention System”.

<sup>43</sup> “Foreign Ministers: rights, obligations and action priorities of Member States”, Council of Europe: News 2019, 17 May 2019. <https://www.coe.int/en/web/portal/-/foreign-affairs-ministers-recall-rights-and-duties-of-member-states-define-priority-areas-for-future-action>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>44</sup> Council of Europe Committee of Ministers, A shared responsibility for democratic security in Europe (Adopted by the Ministers on 129<sup>th</sup> Session of the Committee of Ministers, Helsinki, 17 May 2019). CM/Del/Dec (2019)129/2. [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=090000168094787e](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=090000168094787e), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>45</sup> Glas, “Russia Left, Threatened And Won: Its Return To The Assembly Without Sanctions”.

<sup>46</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution 2287 (2019) on Strengthening the decision-making process of the Parliamentary Assembly concerning credentials and voting (adopted by the Assembly on 25 June 2019 (20<sup>th</sup> Sitting), §7. <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=27980&lang=en>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>47</sup> Ibid. §10.

გაუქმებით,<sup>48</sup> 2019 წლის ივნისში რუსეთის დელეგაციისთვის უფლებამოსილების აღდგენით<sup>49</sup> და რუსეთის მიერ ფულადი შენატანის განახლებით დასრულდა.<sup>50</sup>

საბოლოოდ რუსეთმა გაიმარჯვა და ასამბლეამ წააგო ეს ბრძოლა თუნდაც იმის დაშვებით, რომ „შიდა სანქციებიც“ კი არ დაუწესდა რუსეთს, ისე აღუდგა უფლებები.<sup>51</sup> რუსეთმა მოიგო შანტაჟის გზით, სადაც მისი პოზიციონირების მთავარი იარაღი მართალია იყო ის გარემოება, რომ რუსეთი გასვლით ემუქრებოდა რაც ნიშნავდა რომ დაახლოებით 145 მილიონი ადამიანი რჩებოდა დაცვის მექანიზმის გარეშე, თუმცა ერთ-ერთი გადამწყვეტი სწორედ რუსეთის სავალდებულო შენატანის განუხორციელებლობა აღმოჩნდა, რაც ორგანიზაციის ბიუჯეტისთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა და დიდ პრობლემებს გამოიწვევდა საბჭოსთვის.<sup>52</sup> სწორედ ეს ფაქტობრივი გარემოება აჩენს ლოგიკურ კითხვას, თუ რამდენად მსგავსად მიუდგებოდა საბჭო ისეთ ქვეყანას, რომლის საწევრო შენატანი რუსეთისაზე ნაკლები იქნებოდა.<sup>53</sup> მართალია ამ კითხვაზე ბევრს შეიძლება ინტუიტიური პასუხი ჰქონდეს, თუმცა ამ საკითხზე ხმამაღლა საუბარი მეტწილად მსგავსი რიტორიკული კითხვების დასმით შემოიფარგლებოდა.

მართალია ეს კონკრეტული თავიც ჩაიხურა რუსეთისა და სასამართლოს (და ზოგადად ევროპის საბჭოს) ტოქსიკური ურთიერთობის, თუმცა უდაოდ შავ ლაქად დარჩა საბჭოსა და სასამართლოსთვის. შესაძლოა, რუსეთის მხრიდან მორიგ ჯერზე 2022 წელს უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყებაზე საბჭოს ხისტი და ფორსირებული პასუხი სწორედ ამ ლაქის ჩამორეცხვის შესაძლებლობად აღქმამ ან რუსეთთან ურთიერთობის დიდმა გამოცდილებამ, თუნდაც ორივემ ერთად განაპირობა, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა არც ამ ნაბიჯს აკლდა, ამჯერად იმ არგუმენტით, რომ საბჭომ ამ ქმედებით დასაჯა არა პუტინი, არამედ ისევ და ისევ რუსეთის ხელისუფლების მიერ დაზარალებული პირები.

---

<sup>48</sup> Gilbert Reilhac, "Council of Europe readmits Russia, five years after suspension over Crimea", *Reuters*, June 25, 2019. <https://www.reuters.com/article/us-europe-rights-council-russia-idUSKCN1TQ1VL>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>49</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, Resolution 2292 (2019) on Challenge, on substantive grounds, of the still unratified credentials of the delegation of the Russian Federation (Adopted by the Assembly on 26 June 2015 (24th Sitting). <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=28049>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>50</sup> Helga Molbæk-Steensig, "Did we solve the caseload problem? Russia's exit from the European Court of Human Rights", *EUIdeas*, March 24, 2022. <https://euiideas.eui.eu/2022/03/24/did-we-solve-the-caseload-problem-russias-exit-from-the-european-court-of-human-rights/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>51</sup> Glas, "Russia Left, Threatened And Won: Its Return To The Assembly Without Sanctions".

<sup>52</sup> Ibid.

<sup>53</sup> Ibid.

## ევროპული კონვენციის დენონსაცია: ევროპული სასამართლოს იურისდიქციიდან რუსეთის გასვლა

ზემოთ განხილული ღონისძიებებიდან გამომდინარე და იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთი არაერთხელ დამუქრებია საბჭოს გასვლით,<sup>54</sup> რუსეთსა და საბჭოს შორის ურთიერთობის შეწყვეტა ნებისმიერ ეტაპზე მოსალოდნელი იყო. თუმცა, რუსეთსა და ევროპულ სასამართლოს შორის არსებული ტოქსიკური ურთიერთობის „დასასრულის დასაწყისი“ ოფიციალურად მხოლოდ 2022 წლის 16 მარტს, რუსეთის მიერ ევროპული კონვენციის დენონსაციით გაფორმდა.<sup>55</sup> რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით,<sup>56</sup> ძალაში 2022 წლის 16 სექტემბრიდან შევიდა.<sup>57</sup>

დენონსაცია თავის მხრივ, უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე სამხედრო თავდასხმისა და ევროპის საბჭოს შექმნის დღიდან ევროპის კონტინენტზე უპრეცედენტო მასშტაბის მშვიდობის დარღვევის გამო,<sup>58</sup> 2022 წლის 16 მარტს ევროპის საბჭოს წესდების მე-8 მუხლის<sup>59</sup> კონტექსტში, რუსეთისთვის საბჭოს წევრობის შეწყვეტაზე პასუხს წარმოადგენდა.<sup>60</sup>

---

<sup>54</sup> Ibid.

<sup>55</sup> Committee of Ministers, Resolution CM/Res (2022)2 on the cessation of the membership of the Russian Federation to the Council of Europe (Adopted on 16 March 2022, at the 1428ter meeting of the Ministers' Deputies) [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=0900001680a5da51](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680a5da51), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>56</sup> European Court Of Human Rights, Resolution of the European Court of Human Rights on the consequences of the cessation of membership of the Russian Federation to the Council of Europe in light of Article 58 of the European Convention on Human Rights (Adopted by The European Court of Human Rights, sitting in the plenary session on 21 and 22 March) [https://echr.coe.int/Documents/Resolution\\_ECHR\\_cessation\\_membership\\_Russia\\_CoE\\_ENG.pdf](https://echr.coe.int/Documents/Resolution_ECHR_cessation_membership_Russia_CoE_ENG.pdf), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>57</sup> „მაღალ ხელშემკვერელ მხარეს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია შეუძლია მის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის შემდეგ და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის ექვსი თვით ადრე გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით...“ იხ. “Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms”, Article 58(1). Council of Europe – “Russia ceases to be party to the European Convention on Human Rights,” 16 September 2022. <https://www.coe.int/en/web/portal/-/russia-ceases-to-be-party-to-the-european-convention-on-human-rights>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>58</sup> Council of Europe Committee of Ministers, Consequences of the aggression of the Russian Federation against Ukraine (Adopted by Ministers' Deputies on 1428bis meeting, 10 March 2022). CM/Del/Dec(2022) 1428bis/2.3 [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=0900001680a5c619](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680a5c619), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>59</sup> „ევროპის საბჭოს ნებისმიერ წევრს, რომელმაც სერიოზულად დაარღვია მე-3 მუხლი, შეიძლება შეუჩერდეს წარმომადგენლობის უფლება და მინისტრთა კომიტეტის მიერ მოეთხოვოს გასვლა მე-7 მუხლის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, კომიტეტს შეუძლია შეუწყვიტოს მას საბჭოს წევრობა, კომიტეტის მიერ დადგენილი დღიდან“. იხ. Council of Europe, Statute of the Council of Europe, European Treaty Series – no. 1, London 5.V.1949. <https://rm.coe.int/1680306052>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>60</sup> რუსეთის მიერ ომის დაწყებიდან მეორე დღესვე, 2022 წლის 25 თებერვალს, მინისტრთა კომიტეტმა შეუჩერა რუსეთს წარმომადგენლობის უფლება Council of Europe Committee of Ministers,- Situation in Ukraine – Measures to be taken, including under Article 8 of the Statute of the Council of Europe (Adopted by Ministers' Deputies on 1426er meeting, 25 February 2022). CM/Del/Dec (2022) 1426ter/2.3

[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=0900001680a5a360](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680a5a360), წვდომის თარიღი: 17/11/2022. საპარლამენტო ასამბლეასთან კომუნიკაციის ფარგლებში, ასამბლეისგან მიღებული მოსაზრების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც რუსეთი აღარ შეიძლება ყოფილიყო საბჭოს წევრი. იხ. Council of Europe

ევროპული ინსტიტუტების ეს გადაწყვეტილება იმ დროისთვის და ზოგადად რუსეთთან მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილებიდან გამომდინარე მართალია პოლიტიკურად და მორალურად უფრო ნაკლებ კითხვებს აჩენდა, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით, რომელსაც ბევრ ნაწილში აკლია სიცხადე. სამართლებრივ გამართულობასთან დაკავშირებით დისკუსია აქტუალურია სხვადასხვა სამართლებრივ ბლოგებზე და ამ წრილში განხილულია ის პრაქტიკული საკითხები, რომელსაც ევროპის საბჭოს ინსტიტუტები და სასამართლო შესაძლოა შეეჩვენონ ამ გადაწყვეტილების გამო.<sup>61</sup> შესაბამისად, საინტერესოა ამ დისკუსიისა და წამოჭრილი პრობლემური საკითხების განხილვა.

### **გაძვირება თუ გასვლა (რუსეთს წევრობა შეუწყდა ევროსაბჭოს წესდების მე-7 თუ მე-8 მუხლის საფუძველზე)?**

დისკუსიის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად სწორია ის სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც მოხდა რუსეთის საბჭოდან გარიცხვა. კერძოდ რუსეთის გარიცხვა მოხდა ევროპის საბჭოს წესდების მე-8 მუხლით, მაშინ როცა დარგის ექსპერტების მოსაზრებით, პროცედურა მე-7 მუხლით უნდა დასრულებულიყო.

ის თუ სინამდვილეში რომელი მუხლით მოხდა რუსეთისთვის ევროპის საბჭოს წევრობის შეწყვეტა, მნიშვნელოვანია, რამდენადაც განსხვავებული სამართლებრივი შედეგებია ამ ორ შემთხვევაში.<sup>62</sup> წესდების მე-7 მუხლი<sup>63</sup> საშუალებას აძლევს სახელმწიფოს გასვლა (ნებაყოფლობითი) ძალაში შევიდეს იმ ფისკალური წლის ბოლოს, რომელ წელსაც შეატყობინებს გასვლის შესახებ. თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, როცა შეტყობინება ხდება ფისკალური წლის პირველი 9 თვის განმავლობაში. თუ შეტყობინება ბოლო სამ თვეში კეთდება, ის ძალაში შევა მომდევნო ფისკალური წლის ბოლოს.

---

Parliamentary Assembly, Consequences of the Russian Federation's aggression against Ukraine. Opinion 300(2022). <https://pace.coe.int/pdf/c31443e940156c87eced0fbb80aee5a6de0aec5c3eebbc5b08e2448fb47149cd/opinion%20300.pdf> წვდომის თარიღი: 17/11/2022. რუსეთის ფედერაციამ გენერალურ მდივანს საბჭოდან გასვლის შესახებ აცნობა. რუსეთს წესდების მე-8 მუხლის კონტექსტში 2022 წლის 16 მარტიდან ევროპის საბჭოს წევრობა შეუწყდა (CM/Res(2022)2 on the cessation of the membership of the Russian Federation to the Council of Europe, 16 March 2022. [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=0900001680a5da51](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=0900001680a5da51), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>61</sup> Kanstantsin Dzehtsiarou and Laurence Helfer, "Russia and the European human rights system: Doing the right thing ... but for the right legal reason?" *European Journal of International Law*, March 29, 2022, <https://www.ejiltalk.org/russia-and-the-european-human-rights-system-doing-the-right-thing-but-for-the-right-legal-reason/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>62</sup> Leach, "A time of Reckoning? Russia And The Council of Europe".

<sup>63</sup> Council of Europe, "Statute of the Council of Europe", Article 7.

რაც შეეხება წესდების მე-8 მუხლს, ის გულისხმობს საბჭოს წესდების მე-3 მუხლის დარღვევის გამო, ქვეყნისთვის წევრობის იძულებით შეჩერების პროცედურის დაწყებას.<sup>64</sup> რაც რამდენიმე ეტაპად იყოფა და უტოვებს ქვეყანას შანსს საკუთარი ნებით გავიდეს, წესდების მე-7 მუხლის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ მინისტრთა კომიტეტის მიერ წარმომადგენლობის უფლების შეჩერებისა და ქვეყნისთვის კომიტეტის მიერ საბჭოდან გასვლის ოფიციალური მოთხოვნის შემდეგ, ქვეყანა არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, კომიტეტს შეუძლია თავად შეუწყვიტოს მას საბჭოს წევრობა და თავადვე დაადგინოს ის დღე, როცა გასვლა შევა ძალაში.

რუსეთის შემთხვევაში, როგორც ზევით აღინიშნა, უფლებამოსილება რუსეთს 25 თებერვალს შეუჩერდა.<sup>65</sup> 15 მარტს საპარლამენტო ასამბლეამ გამოსცა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მინისტრთა კომიტეტმა უნდა მოსთხოვოს რუსეთს დაუყოვნებლივ გავიდეს საბჭოდან. თუ რუსეთის ფედერაცია არ დაემორჩილებოდა ამ მოთხოვნას მაშინ მინისტრთა კომიტეტი განსაზღვრავდა ყველაზე ახლო შესაძლებელ დღეს როდიდანაც რუსეთის ფედერაციას შეუწყდებოდა საბჭოს წევრობა.<sup>66</sup> თუმცა, რუსეთმა არა თუ წინააღმდეგობა არ გაწია, არამედ იმავე დღეს თავად რუსეთის მთავრობამ შეატყობინა საბჭოს გენერალურ-მდივანს რომ ის გადიოდა საბჭოდან.<sup>67</sup> ამის მიუხედავად, კომიტეტმა გამოიყენა მე-8 მუხლით<sup>68</sup> გათვალისწინებული პროცედურა, რუსეთის წევრობის შეწყვეტა, მის გაძევებად გაფორმდა და მინისტრთა კომიტეტის მიერ ის ძალაში იმავე დღეს, 16 მარტს შევიდა.<sup>69</sup>

ექსპერტთა აზრით რუსეთის საბჭოდან გარიცხვის დაუყოვნებლივ ამოქმედება წინააღმდეგობაშია საბჭოს წესდებასთან.<sup>70</sup> კერძოდ, მიიჩნევა, რომ რუსეთის მიერ საბჭოს წევრობის შეწყვეტა უნდა განიხილებოდა არა წესდების მე-8 მუხლის ქრილში, არამედ მე-7 მუხლის, შესაბამისად, გასვლის თარიღად უნდა ჩაითვალოს დეკემბერი და არა კომიტეტის მიერ დადგენილი 16 მარტი.<sup>71</sup> აღსანიშნავია, რომ მინისტრთა კომიტეტის მიერ 2022 წლის 17 მარტს გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელიც ხსნის ევროპის საბჭოს წევრობის შეწყვეტის სამართლებრივ ასპექტებს.<sup>72</sup> მინისტრთა კომიტეტი განმარტავს, რომ წესდების მე-8 მუხლით დადგენილი

---

<sup>64</sup> Council of Europe, "Statute of the Council of Europe", Article 8.

<sup>65</sup> Council of Europe Committee of Ministers, "CM/Del/Dec(2022)1426ter/2.3".

<sup>66</sup> Council of Europe Parliamentary Assembly, "Opinion 300(2022)".

<sup>67</sup> Priyanka Shankar, "What does Russia leaving the Council of Europe mean?", *Deutsche Welle*, 17 May 2022. <https://www.dw.com/en/what-does-russia-leaving-the-council-of-europe-mean/a-61164543>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>68</sup> Council of Europe, "Statute of the Council of Europe", Article 8.

<sup>69</sup> Leach, "A time of Reckoning? Russia And The Council of Europe".

<sup>70</sup> Sebastián Mantilla Blanco, A Backdoor Exit from the European Convention on Human Rights, *Verfassungsblog*, 5 April 2022. <https://verfassungsblog.de/a-backdoor-exit-from-the-european-convention-on-human-rights/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>71</sup> Ibid.

<sup>72</sup> Council of Europe Committee of Ministers, Memorandum on Legal and financial consequences of the cessation of membership in the Council of Europe under Article 8 of its Statute (prepared by the Secretariat), 1429<sup>th</sup> meeting, 17 March 2022. CM(2022)70.

პროცედურის შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა, წევრი ქვეყანა თავად დათანხმდება გასვლას, თუ არ დათანხმდება და შემდეგ მინისტრთა კომიტეტს მოუწევს მისი იძულებით გარიცხვა, ორივე ამ შემთხვევაში წევრობის შეწყვეტა ითვლება მე-8 მუხლის საფუძველზე შეწყვეტად, რა დროსაც მინისტრთა კომიტეტი თავად განსაზღვრავს მისი ძალაში შესვლის დროს.<sup>73</sup> შესაბამისად ეს განმარტება ეწინააღმდეგება ექსპერტთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს წევრი ქვეყნის თანხმობის შემთხვევაში, გადამისამართება ხდება მე-7 მუხლზე. თუმცა, მინისტრთა კომიტეტი სამართლებრივი ასპექტების განხილვისას არ აზუსტებს, აქვს თუ არა მნიშვნელობა იმ ფაქტს, თუ როდის განაცხადებს წევრი ქვეყანა გასვლის შესახებ სურვილს, კომიტეტის მიერ ოფიციალურად ამ სახის მოთხოვნის მიღებამდე, თუ ამ სახის მოთხოვნის შემდეგ? აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, რუსეთის მიერ გასვლის მოთხოვნით მიმართვა, თანადროულია საპარლამენტო ასამბლეის მიერ მინისტრთა კომიტეტისთვის რუსეთისთვის გასვლის მოთხოვნის შესახებ მოსაზრების გაზიარების. ამასთან, გასათავლისწინებელია რომ საჯაროდ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან არ ჩანს, რუსეთის მოთხოვნას წინ უძღოდა თუ არა მინისტრთა კომიტეტის ოფიციალური მიმართვა.

ექსპერტთა მოსაზრებით ამ საკითხში გარკვევა, თუ წესდების რომელი მუხლის საფუძველზე მოხდა რუსეთის წევრობის შეწყვეტა, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის პირდაპირ კავშირშია სასამართლოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული საქმეების განხილვასთან, რომელიც მათი მოსაზრებით სწორი სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრის შემთხვევაში დეკემბრის ჩათვლით გახანგრძლივდებოდა, ამის არგუმენტად კი მოჰყავთ ევროპული კონვენციის 58-ე მუხლი და მისი მე-3 პუნქტი, რომლის ასევე სწორად განმარტების შემთხვევაში, დენონსაცია ძალაში უნდა შესულიყო რუსეთისთვის საბჭოს წევრობის შეწყვეტის ძალაში შესვლის მომენტიდან (მსჯელობის შესაბამისად ფისკალური წლის ბოლოდან - დეკემბრიდან).

მოცემული მსჯელობიდან ირკვევა რომ მეორე საკითხი, რომელზეც დისკუსია მიმდინარეობს, ევროპული კონვენციის დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღია და ის თუ რამდენად სწორად მოხდა კონვენციის 58-ე მუხლის ინტერპრეტაცია. ეს კი გასაკვირი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, კონვენციის დენონსაციის შესახებ პრაქტიკა განვითარებული არ არის.<sup>74</sup>

---

[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=0900001680a5d7d3#\\_Toc97927179](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680a5d7d3#_Toc97927179), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>73</sup> Ibid.

<sup>74</sup> ერთადერთი შემთხვევა საბჭოდან გასვლის იყო საბერძნეთის შემთხვევაში, სამხედრო ხუნტას მიერ 1969 წელს. საბერძნეთის შემთხვევაში არ დამდგარა კონვენციის 58(3)-ე მუხლით დენონსაციის საჭიროება. Dzehtsiarou and Helfer, "Russia and the European human rights system: Doing the right thing ... but for the right legal reason?".

## კონვენციის დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღი და კონვენციის 58-ე მუხლის გამოყენება

კონვენციის 58-ე მუხლი ითვალისწინებს წევრი ქვეყნის მიერ კონვენციის დენონსაციის უფლებასა და დენონსაციის პირობებს. მისი მე-3 პუნქტი კი ეხება იმ შემთხვევას როდესაც ქვეყანა წყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას.<sup>75</sup> კერძოდ პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით:

- დენონსაცია შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ (1-ლი პუნქტი).
- დენონსაციის ძალაში შესასვლელად საჭიროა 6 თვით ადრე მიმართვა გენერალური მდივნისთვის (1-ლი პუნქტი).
- დენონსაციის ძალაში შესვლამდე ხელშემკვრელი მხარე არ თავისუფლდება კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისგან, შესაბამისად, ამ დრომდე ჩადენილი ქმედებებისთვის, რომელიც ამ ვალდებულებების შესაძლო დარღვევას ეხება შესაბამისი პასუხისმგებლობისგან (მე-2 პუნქტი).

რაც შეეხება მე-3 პუნქტს, მის მიხედვით: „ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც შეწყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას, შეწყვეტს ამ კონვენციის წევრობას **იგივე პირობებში**“.

შესაბამისად, მე-3 პუნქტი უშუალოდ საბჭოს წევრობის შეწყვეტის შემთხვევას ეხება (როგორც ნებაყოფლობით გასვლას, ასევე გარიცხვას), რაც გულისხმობს ავტომატურ დენონსაციას, ხოლო, პირველი პუნქტი სხვა შემთხვევებს, როცა მხარე ნებაყოფლობით (საბჭოდან გაუსვლელად) გამოთქვამს კონვენციის დენონსაციის სურვილს. ექსპერტთა მოსაზრებით, მე-3 პუნქტში „იგივე პირობებზე“ მითითება, არა ამავე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე მითითებას, არამედ, საბჭოს წევრობის შეწყვეტის პირობებზე მითითებას გულისხმობს. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ მე-8 მუხლით მოხდება შეწყვეტა - მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრულ დროს შუვა ძალაში როგორც საბჭოს, ასევე კონვენციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო მე-7 მუხლის შემთხვევაში - შესაბამისი ფისკალური წლის ბოლოს (თუ წლის პირველ 9 თვეში მოხდება შეწყვეტა, თუ ბოლო 3 თვეში - მაშინ მომდევნო წლის ფისკალური წლის ბოლოს). შესაბამისად სასამართლოს რეზოლუცია, რომელიც დენონსაციის ძალაში შესვლას 6 თვის თავზე ითვალისწინებს, მიიჩნევა, როგორც სასამართლოს მხრიდან 58-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაცია<sup>76</sup> და ამ მუხლის მე-3

<sup>75</sup> “Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms,” Article 58.

<sup>76</sup> Blanco, “A Backdoor Exit from the European Convention on Human Rights”.

პუნქტის ისე გაგება, თითქოს სიტყვები „იგივე პირობებში“ 58-ე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებს მიემართებოდეს.<sup>77</sup>

სასამართლოს მიერ რუსეთის კონვენციის წევრობის შეწყვეტის შესახებ რეზოლუციაში არ არის დაკონკრეტებული 58-ე მუხლის რომელი პუნქტის მიხედვით მოხდა დენონსაცია. რეზოლუცია უთითებს, რომ ერთი მხრივ აღნიშნავს თავად დენონსაციის შესახებ რუსეთის მიმართვის ფაქტს (15 მარტი 2022 წ), მეორე მხრივ კი მხედველობაში იღებს საბჭოს წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტის მიერ რუსეთის საბჭოდან გარიცხვას (16 მარტი 2022 წ). სასამართლოს გადაწყვეტილებას ნათელი იმის შესახებ თუ კონკრეტულად რომელი პუნქტის მიხედვით მიიღო სასამართლომ გადაწყვეტილება, არც იმ ნაწილში მოჰყვინია, რომლითაც დაადგინა რომ 1. დენონსაცია ძალაში შევიდოდა 2022 წლის 16 სექტემბერს (რუსეთის საბჭოდან გარიცხვიდან 6 თვეში); ასევე, 2. სასამართლოს უნარჩუნდებოდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული იმ საჩივრების განხილვის კომპეტენცია, რომელშიც სადავოდ იქნება გამხდარი ისეთი ქმედებები და უმოქმედობები რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციის დარღვევას, იმ პირობით, რომ ისინი 2022 წლის 16 სექტემბრამდე განხორციელდა (დენონსაციის ძალაში შევსლამდე). ამასთან, ზევით განხილულ მინისტრთა კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, რომელიც ეხმიანება რუსეთისთვის წევრობის შეწყვეტის, ზოგადად საბჭოს წევრობის შეწყვეტის და კონვენციის დენონსაციის სამართლებრივ საკითხებს, პირდაპირ არის მითითებული, რომ კონვენციის 58(3)-ე მუხლის მიხედვით, საბჭოს წევრობის შემთხვევაში, კონვენციის წევრობის შეწყვეტა ამავე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად ხდება.<sup>78</sup>

ამ სამართლებრივ ასპექტებში გარკვევას და სწორ ინტერპრეტაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი პრეცედენტის დამკვიდრებაში და სიჩქარეში არ უნდა მოხდეს სამართლებრივი ლაფსუსების გაპარვა, რომელმაც შემდგომში შესაძლოა დიდი თავსატეხი გააჩინოს. თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უშუალოდ რუსეთის შემთხვევისათვის. კერძოდ, თუკი ექსპერტთა პოზიციას სრულად გავიზიარებთ (თუ რუსეთისთვის საბჭოს წევრობის შეწყვეტა წესდების მე-7 მუხლის საფუძველზე მოხდებოდა და 58(3)-ე მუხლის სწორი ინტერპრეტაციის მიხედვით, დენონსაციაც ძალაში მე-7 მუხლის შესაბამისად, ფისკალური წლის ბოლოს შევიდოდა) მაშინ საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება შემდეგი შედეგი დამდგარიყო: კონვენციის დენონსაცია დეკემბრის ბოლოს შევიდოდა ძალაში და არა 16 სექტემბერს, რაც ნიშნავს, რომ რუსეთის წინააღმდეგ შესაძლებელი იქნებოდა საჩივრების შეტანა, რუსეთის მიერ კონვენციის

---

<sup>77</sup> Ibid.

<sup>78</sup> Council of Europe Committee of Ministers, “CM(2022)70”.



შესაძლო დარღვევის იმ ფაქტებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე და არა 16 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო ექსპერტთა პოზიციის ნაწილობრივ გაზიარებით (იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ საბჭოდან რუსეთის გარიცხვა ოფიციალურად მე-8 მუხლის საფუძველზე გამოცხადდა და მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით ძალაში დაუყოვნებლივ შევიდა), 58-ე მუხლის სწორი ინტერპრეტაციით, ყველაზე ცუდი შედეგი დადგებოდა სწორედ ის, რომ კონვენციის დენონსაციაც დაუყოვნებლივ შევიდოდა ძალაში. **შესაბამისად, ექსპერტთა მთავარი აქცენტები, განხილულ სამართლებრივ დისკუსიაში, მიემართება სწორედ იმას თუ რამდენად იყო შესაძლებელი კონვენციის დაცვითი ფარის გავრცელების გახანგრძლივება და რუსეთის გასვლისა თუ გაძევების საკითხიც მხოლოდ ამ პერსპექტივიდან არის მათთვის მნიშვნელოვანი.**

იმის მიუხედავად სწორად განმარტა თუ არა სასამართლომ 58-ე მუხლი, უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული განმარტება საბოლოოდ მოცემული ვითარებიდან გამომდინარე (იმ ფაქტიდან გამომდინარე რომ მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით საბჭოდან გარიცხვა დაუყოვნებლივ მოხდა, საბჭოს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე), ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით საუკეთესო შედეგის მომტანი აღმოჩნდა. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ დენონსაცია ძალაში შევიდოდა 16 სექტემბერს, წევრობის შეწყვეტიდან 6 თვის თავზე, რაც ამკარად იმ განზრახვას ემსახურება, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა რაც შეიძლება დიდხანს გახანგრძლივებულიყო.<sup>79</sup>

## **დენონსაციის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეთა განხილვა**

სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, დენონსაციის ძალაში შესვლის მდგომარეობით, რუსეთის წინააღმდეგ 17 367 მიმდინარე საჩივარი ირიცხებოდა.<sup>80</sup> ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს განმარტებით, მას აქვს კომპეტენცია განიხილოს ისეთი საჩივრები, რომლებიც დენონსაციის ძალაში შესვლამდე (2022 წლის 16 სექტემბრამდე) პერიოდში რუსეთის მხრიდან კონვენციით დადგენილი ვალდებულების შესაძლო დარღვევის ფაქტს ეხება. შესაბამისად, რუსეთის წინააღმდეგ საჩივრების შედინება შეიძლება არ შეწყდეს

<sup>79</sup> "ECHR Continues to Apply for Russia Until 16 September 2022", *ECHR Blog*, 23 March 2022. <https://www.echrblog.com/2022/03/echr-continues-to-apply-for-russia.html>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>80</sup> European Court of Human Rights, "Press country profile: Russia", (last updated: September 2022). [https://echr.coe.int/Documents/CP\\_Russia\\_ENG.pdf](https://echr.coe.int/Documents/CP_Russia_ENG.pdf), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

უშუალოდ დენონსაციის ძალაში შესვლით და მეტიც, ის რამდენიმე თვე ან წელიც კი გახანგრძლივდეს, იმის მიხედვით, თუ რა დრო შეიძლება სჭირდებოდეს თითოეულ ამგვარ შემთხვევაში საჩივრის ავტორს შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოსაწურად.<sup>81</sup> ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ რუსეთში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი მასშტაბური დარღვევებისა და ქმედებებისთვის, რომელსაც ის საკუთარ ტერიტორიებს მიღმა ახორციელებს, არ არის გასაკვირი თუ მის წინააღმდეგ ისედაც მრავალათასიან საჩივართა სიას, კვლავ ათასობით საჩივარი დაემატება. თუმცა, გამორიცხული არც ის არის, რომ დაზარალებულებმა უარი თქვან საჩივრების შეტანაზე, იმ მარტივი მიზეზით, რომ მოქმედი რეჟიმის მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მოლოდინი ამ ეტაპზე საფუძველს არის მოკლებული. მით უფრო, როცა ამ დროისთვის უკვე ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობა არ აპირებს ადასრულოს ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ძალაში 2022 წლის 15 მარტის შემდეგ შევიდა.<sup>82</sup> იმ ნაწილშიც კი, რომელშიც ამ დრომდე ცნობილია რომ ადასრულებს, მხოლოდ ფულადი კომპენსაციის გადახდით შემოიფარგლება და მინისტრთა კომიტეტთან სხვა უფრო სიღრმისეული კოლაბორაცია არ შედგება.<sup>83</sup>

მიუხედავად რუსეთის მიერ დეკლარირებული წინააღმდეგობისა, ადასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებები, ევროპულმა სასამართლომ აქტიურად დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ დაგროვილი საჩივრების განხილვა და მათზე გადაწყვეტილებების გამოტანა. კერძოდ, დენონსაციის შემდეგ 2 თვის განმავლობაში (16/09/2022 – 16/11/2022) რუსეთის წინააღმდეგ განსახილველ საქმეებზე 151 გადაწყვეტილება (ჯამში 999 საჩივარი) გამოვიდა, საიდანაც 150 გადაწყვეტილებაში კონვენციის ერთი მუხლის დარღვევა მაინც დადგინდა და მხოლოდ ერთი საქმე აღმოჩნდა ისეთი, რომელშიც სასამართლოს არცერთი მუხლის დარღვევა არ დაუდგენია. ამასთან, გადაწყვეტილებათა 95% კომიტეტის მიერ იქნა მიღებული და მხოლოდ 7 გადაწყვეტილება გამოიტანა პალატამ. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 1-ლი სექტემბრიდან კომიტეტი მის მიერ განსახილველ საქმეებზე გადაწყვეტილებებს ახალი ფორმულის მიხედვით იღებს (summary-formula judgments), რაც უფრო ლაკონურ და ფოკუსირებულ დასაბუთებას

---

<sup>81</sup> Kanstantsin Dzehtsiarou, "The Range of Solutions to the Russian Cases Pending before the European Court of Human Rights: Between 'Business as Usual' and 'Denial of Justice'", *ECHR Blog*, 16 August 2022. <https://www.echrblog.com/2022/08/the-range-of-solutions-to-russian-cases.html>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>82</sup> "Подписаны законы о прекращении исполнения постановлений ЕСПЧ," SOVA информационно-аналитический центр, 14 июня 2022 года. <https://www.sova-center.ru/misuse/news/lawmaking/2022/06/d46432/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>83</sup> Dzehtsiarou, "The Range of Solutions to the Russian Cases Pending before the European Court of Human Rights: Between 'Business as Usual' and 'Denial of Justice'".

გულისხმობს, რომელიც არ აღემატება 2 000 სიტყვას.<sup>84</sup> ახალი ფორმულის მთავარ მიზანს სასამართლოში დაგროვილ საქმეებზე სწრაფი რეაგირება წარმოადგენს, რაც ამ შემთხვევაში, რუსეთის წინააღმდეგ საქმეთა დაჩქარებული წესით გასაფილტრად მნიშვნელოვანი მექანიზმია, თუმცა ზოგადად მექანიზმის ეფექტიანობა ცალკე კვლევას საჭიროებს, რაც ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს ამ დოკუმენტის ფოკუსს.

რუსეთის წინააღმდეგ საქმეთა განხილვის ნაწილში, კიდევ ერთი სამართლებრივი საკითხი რუსეთის მოსამართლის ოფისის საქმიანობის შეწყვეტას უკავშირდება. კერძოდ, როგორც ცნობილია, კონვენციის დენონსაციის ძალაში შესვლით რუსეთის მოსამართლის ოფისმაც შეწყვიტა არსებობა.<sup>85</sup> კონვენციის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლო უნდა შედგებოდეს იმდენი მოსამართლისგან, რამდენი წევრი ქვეყანაც არის. შესაბამისად, რუსეთის მოსამართლე მიხაილ ლობოვი, რომელიც 2022 წლის 2 იანვარს აირჩიეს, ვეღარ გააგრძელებს საქმიანობას. თუმცა მეორე პრობლემა არის საქმეთა განხილვა, რამდენადაც კონვენციის 26-ე მუხლის მიხედვით, პალატაში და დიდ პალატაში ex officio წევრად შედის იმ ქვეყნის წარმომადგენელი მოსამართლე, რომლის წინააღმდეგ წარმოებულ საქმეც განიხილება. კონვენცია ითვალისწინებს, ისეთ შემთხვევას, როცა რუსი მოსამართლის მონაწილეობა შეუძლებელია, რუსეთის მიერ წინასწარ წარდგენილი სიიდან აირჩევა ad hoc მოსამართლეები, თუმცა ნაკლებ მოსალოდნელია რომ ეს მოსამართლეები დათანხმდებიან ან მათ მისცემენ უფლებას რომ მონაწილეობა მიიღონ საქმეების განხილვაში.<sup>86</sup> თუმცა, სასამართლოს შეუძლია ამ შემთხვევაშიც დაუშვას გამონაკლისი, ისევე როგორც „უცხოელი აგენტების“ საქმეზე<sup>87</sup> გააკეთა, რომელშიც რუსეთის ნაცვლად, ad hoc მოსამართლეთ დანიშნა მოსამართლე სერხიდესი (სასამართლოს რეგლამენტის 29(2)(ბ) მუხლის შესაბამისად) რომელიც კვიპროსს წარმოადგენდა.<sup>88</sup>

ექსპერტთა შეფასებით, ამ გამონაკლისის დაშვება არ იქნება კატასტროფა, თუმცა, ნორმებისთვის სისტემატურად გვერდის ავლამ სასამართლოს პროცესების ლეგიტიმურობა შეიძლება შეარყიოს.<sup>89</sup>

---

<sup>84</sup> Council of Europe, “Annual Report 2021 of the European Court of Human Rights,” *Registry of the European Court of Human Rights* (Strasbourg, 2022), 176. [https://www.echr.coe.int/Documents/Annual\\_report\\_2021\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2021_ENG.pdf), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>85</sup> European Court of Human Rights, “Resolution Of The European Court Of Human Rights”. [https://echr.coe.int/Documents/Resolution\\_ECHR\\_cessation\\_Russia\\_Convention\\_20220916\\_ENG.pdf](https://echr.coe.int/Documents/Resolution_ECHR_cessation_Russia_Convention_20220916_ENG.pdf), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>86</sup> Dzehtsiarou, “The Range of Solutions to the Russian Cases Pending before the European Court of Human Rights: Between ‘Business as Usual’ and ‘Denial of Justice’”.

<sup>87</sup> *Ecodefence and others v. Russia*, nos. 9988/13 and 60 others, 14 June 2022.

<sup>88</sup> Dzehtsiarou, “The Range of Solutions to the Russian Cases Pending before the European Court of Human Rights: Between ‘Business as Usual’ and ‘Denial of Justice’”.

<sup>89</sup> Ibid.

## დენონსაცია - დასასრული?

რუსეთსა და ევროპულ სასამართლოს შორის არსებული 24 წლიანი ტოქსიკური ურთიერთობის დასასრული ოფიციალურად 2022 წლის 16 სექტემბერს გაფორმდა. ბევრისთვის გასაკვირი არა მისი დასრულება, არამედ, ამ დრომდე შენარჩუნება იყო. საინტერესო კი ის არის თუ რომელი უფრო მეტად ტრამვირებული აღმოჩნდა ამ რთული თანაცხოვრების ბოლოს და რომელს უფრო მეტად დააზიანებს ეს გადაწყვეტა?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა კი იმაზე ხაზგასმით უნდა დავიწყოთ, რომ რუსეთისთვის კონვენციის წევრობის შეწყვეტა ნიშნავს 145 მილიონამდე ადამიანის დატოვებას იმ ქოლგის მიღმა, რომელიც მართალია ხშირად ვერ იცავდა ადამიანებს მათი უფლებების დარღვევისგან, თუმცა როგორც მინიმუმ მისი არსებობა ბევრისთვის იმედის მომცემი იყო.<sup>90</sup> ისინი დარჩნენ იმ პლატფორმის გარეშე, საიდანაც მათი ხმა ისმოდა, მათი სიმართლე ფორმალურად, მაგრამ მაინც იმარჯვებდა და სასამართლოსგან იღებდნენ იმას, რაც შეიძლება რიგ შემთხვევებში კონკრეტული ინდივიდისთვის კომპენსაციის გადახდასა თუ სხვა ინდივიდუალურ თუ ზოგად ღონისძიებებზე მნიშვნელოვანიც კი არის - მისი უფლების დარღვევის აღიარებას. შესაბამისად, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველები და ამ სფეროს ექსპერტები აღნიშნავენ, რუსეთის გარიცხვით და მილიონობით ადამიანისთვის მათი უფლებების დაცვის ამ მოსპობით დაისაჯა არა პუტინი, არამედ მისი მსხვერპლი.

და რადგან კარგად ვიცით, რომ მედალს ორი მხარე აქვს, არც ის გამოგვრჩენია ყურადღებიდან, რომ ამ საერთო გულისწყვეტის ფონზე კრემლი დიდი ტვირთის მოხსნას ზეიმობს და ევროპის საბჭოს მიერ „თავს მოხვეული“ სიკვდილით დასჯის აკრძალვის ანულირებას აანონსებს.<sup>91</sup> მეტიც, რუსეთს არც მილიონობით ევროს (თუ არა მილიარდობით) გადახდა მოუწევს ერთი მხრივ, ევროპის საბჭოსთვის (ირიბად კი სასამართლოსთვის) და მეორეც, იმ ადამიანებისთვის, რომელთა უფლებების დარღვევაშიც ამ დრომდე სასამართლო ამხელდა. თუმცა, შესაძლოა რუსეთის მხრიდან სავალდებულო ფულადი კონტრიბუციის შეწყვეტა დიდ დანაკლისად არ ჩაითვალოს იმის გათავლისწინებით, რომ სასამართლოს ბიუჯეტის დაახლოებით 10%-ს შევსების სანაცვლოდ, თავად რუსეთზე გაწეული ხარჯი შეიძლება ბევრადაც კი აღემატებოდა მისგან მიღებულ კონტრიბუციას.

<sup>90</sup>“Russia No Longer a Party to the ECHR as of Today”, *ECHR BLOG*, 16 September 2022. <https://www.echrblog.com/2022/09/russia-no-longer-party-to-echr-as-of.html>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>91</sup> Shankar, “What does Russia leaving the Council of Europe mean?”.

თავის მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი საჩივრების რაოდენობის მიხედვით წევრობიდან მოყოლებული იმ ქვეყნების რიგებში იყო, რომელთა წინააღმდეგაც აბსოლუტურ მაჩვენებლებში ყველაზე მეტი საჩივარი იყო შეტანილი, მიმდინარე საქმეების რაოდენობითაც გამოირჩეოდა<sup>92</sup> და შესაბამისად, სასამართლოს გადატვირთულობის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფაქტორი გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად აისახება როგორც მინიმუმ სასამართლოს მუშაობასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე და მეტიც, შესაძლოა სასამართლოს მნიშვნელოვანი განტვირთვაც გამოიწვიოს. თუმცა, ამ მიდგომასაც კი ყავს კრიტიკოსები რომლებიც მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია ვისაუბროთ ეფექტიანობაზე, მაშინ როდესაც ინდივიდების უფლებების შემცირება ხდება.<sup>93</sup>

მეორე მხრივ, ეფექტიანობასთან მიმართებით, რთულია მოკლევადიან შედეგებზე საუბარი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ სასამართლოს წინაშე დენონსაციის ძალაში შესვლის მდგომარეობით, რუსეთის წინააღმდეგ 17 367 მიმდინარე საჩივარი ირიცხებოდა,<sup>94</sup> რომელთა განხილვასაც დიდი რესურსი და დრო სჭირდება. ამასთან, რამდენადაც სასამართლომ გადაწყვიტა რომ მიიღებს ყველა იმ საჩივარს, რომელიც 16 სექტემბრამდე რუსეთის მხრიდან კონვენციის შესაძლო დარღვევის ფაქტს ხდის სადავოდ,<sup>95</sup> მოსალონდელია, რომ დამატებით კიდევ ათასობით საჩივარიც კი შევიდეს. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული საქმეების სრულად ამოწურვასა და ყველა გადაწყვეტილების სათანადო აღსრულების უზრუნველყოფას კვლავ დიდი რესურსი სჭირდება, მაშინ, როცა უცნობია თავად რუსეთის მთავრობის შემხვედრი ქმედებები და სასამართლოსთან შემდგომი ურთიერთობა. როგორც მინიმუმ, ამ დროისთვის უკვე ცნობილია, რომ რუსეთის მთავრობა არ აპირებს აღასრულოს ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები,

---

<sup>92</sup>სასამართლო დანაყოფების წინაშე მიმდინარე საქმეების სტატისტიკის მიხედვით, 2006 წლიდან მოყოლებული, ამ მხრივ რუსეთი წევრ ქვეყნებს შორის მეტწილად პირველ ადგილს იკავებდა. კერძოდ, 2006 წ. - საერთო რაოდენობის 21.5% (19 300) მოდიოდა რუსეთზე, 2007 წ. – 20 300 (26.0%); 2008 წ. – 27 250 (28.0%); 2009 წ. – 33 550 (28.1%); 2010 წ. – 40 300 (28.9%); 2011 წ. – 40 250 (26.6%); 2012 წ. – 28 600 (22.3%); 2013 წ. – 16 800 (16.8%); 2014 წ. – 10 000 (14.3%); 2015 წ. – 9 200 (14.2%); 2016 წ. – 7 800 (9.8%); 2017 წ. – 7 750 (13.8%); 2018 წ. – 11 750 (20.9%); 2019 წ. – 15 050 (25.2%); 2020 წ. – 13 650 (22.0%); 2021 წ. – 17 000 (24.2%).

<sup>93</sup> Dimitry Kurnosov, "Russia Without Strasbourg And Strasbourg Without Russia: A Preliminary Outlook", September 20, 2022. <https://strasbourgobservers.com/2022/09/20/russia-without-strasbourg-and-strasbourg-without-russia-a-preliminary-outlook/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>94</sup> European Court of Human Rights, "Press country profile: Russia".

<sup>95</sup> „დენონსაცია არ ათავისუფლებს მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისგან ისეთი ქმედებისათვის, რომელიც წარმოადგენს ამ ვალდებულებათა შესაძლო დარღვევას და ჩადენილია დენონსაციის ძალაში შესვლამდე“. "Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms", Article 58(2).

რომლებიც ძალაში 2022 წლის 15 მარტის შემდეგ შევიდა.<sup>96</sup> იმ ნაწილში რომელშიც აღასრულებს, სავარაუდოდ, მხოლოდ ფულადი კომპენსაციის გადახდით შემოიფარგლება და მინისტრთა კომიტეტთან სხვა უფრო სიღრმისეული კოლაბორაცია არ შედგება.<sup>97</sup> ეს კი გასაკვირი არ არის იმ ფონზე, როცა რუსეთი ისედაც არ ასრულებს გადაწყვეტილებებს კეთილსინდისიერად და ძირითადად კომპენსაციის გადახდით შემოიფარგლებოდა და არა პრობლემის აღმომფხვრელი ზოგადი და სისტემური ღონისძიებების გატარებით.<sup>98</sup> გასათვალისწინებელია, რომ ჯერ კიდევ 2019 წელს განუსაზღვრა სასამართლომ რუსეთს სამთვიანი ვადა საქართველოს მოქალაქეების კოლექტიური დეპორტაციის გამო საქართველოს 1 500 მოქალაქის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის სახით 10 მილიონი ევროს გადასახდელად, რომლის აღსრულების, ისევე როგორც რუსეთის წინააღმდეგ მეორე სახელმწიფოთაშორის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების, შანსებიც დენონსაციის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად შემცირდა.<sup>99</sup> მიუხედავად რუსეთის მიერ არაერთგზის გამოვლენილი დაუმორჩილებლობისა, მინისტრთა კომიტეტი მაინც აპელირებს იმაზე, რომ ევროპის საბჭოს წევრობის შეწყვეტა რუსეთს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას ძალაში ტოვებს<sup>100</sup> და კვლავ განაგრძობს რუსეთის სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხვედლობას, რომელთა რიცხვი დენონსაციის დროისთვის 2 129-ს შეადგენდა.<sup>101</sup>

ათასობით გადაწყვეტილებების აღსრულებლობა და სასამართლოს აბსოლუტური იგნორირება, მაშინ როცა თავად სასამართლო უდიდეს რესურსს ხარჯავს რუსეთის წინააღმდეგ საქმეების განხილვაში და შეიძლება ითქვას, რომ პრიორიტეტულადაც კი განიხილავს მათ, უარყოფითად აისახება სასამართლოს რეპუტაციაზე. ამას ემატება რუსეთის ევროპის საბჭოდან გაძევებისა და მასზე სასამართლოს იურისდიქციის გავრცელების შეწყვეტასთან დაკავშირებით ზემოთ განხილული კრიტიკა, როგორც პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ ნაწილში

---

<sup>96</sup> “Подписаны законы о прекращении исполнения постановлений ЕСПЧ,” SOVA информационно-аналитический центр, 14 июня 2022 года. <https://www.sova-center.ru/misuse/news/lawmaking/2022/06/d46432/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>97</sup> Dzehtsiarou, “The Range of Solutions to the Russian Cases Pending before the European Court of Human Rights: Between ‘Business as Usual’ and ‘Denial of Justice’”.

<sup>98</sup> Lize R. Glas, “The Assembly’s Appeasement Towards Russia”, September 27, 2018. <https://strasbourgobservers.com/2018/09/27/the-assemblys-appeasement-towards-russia/>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>99</sup> Council of Europe Committee of Ministers, Interim Resolution CM/ResDH(2022)254 on Execution of the judgments of the European Court of Human Rights Georgia v. Russia (I) (adopted by the Committee of Ministers on 22 September 2022 at the 1443<sup>rd</sup> meeting of the Ministers’ Deputies). [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=0900001680a8353b](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680a8353b), წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>100</sup> Council of Europe Committee of Ministers, Interim Resolution CM/ResDH(2022)254 on Execution of the judgments of the European Court of Human Rights Georgia v. Russia (I) (adopted by the Committee of Ministers on 22 September 2022 at the 1443<sup>rd</sup> meeting of the Ministers’ Deputies). Notes: <https://hudoc.exec.coe.int/ENG#%7B%22EXEClntifier%22:%5B%22004-14138%22%5D%7D>, წვდომის თარიღი: 17/11/2022.

<sup>101</sup> Ibid.

(მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწილში საბჭოსგან განსხვავებით, სასამართლოს სხვა გზა არ ჰქონდა და შექმნილ ვითარებაში მაქსიმალურად სცადა ადამიანის უფლებების დაცვა).

სწორედ ყველა ამ ფაქტორთა ერთობლიობის, დაგროვილი გამოცდილებისა და არსებული რეალობის (რაც რუსეთის მოქმედი რეჟიმისთვის საერთაშორისო დონეზე იმიჯის ფორმალურად მაინც შენარჩუნების ინტერესის სრულ დაკარგვას გულისხმობს) ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შექმნილი ვითარებით პირველ რიგში ყველაზე მეტად დაზარალდა ზოგადად რუსეთი (და არა მოქმედი რეჟიმი) და ევროპული სასამართლო, უფრო ზუსტად კი კონვენციის სისტემა, ის საერთო მიზანი, რომელმაც 47 სახელმწიფო გააერთიანა. რაც შეეხება რუსეთის მოქმედ რეჟიმს, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, რეჟიმის სუბიექტური პერსპექტივიდან, საბჭოდან გარიცხვა და კონვენციის წევრობის შეწყვეტა, რაც თავსმოხვეული ვალდებულებებისგან გათავისუფლებად და მოქმედებათა აბსოლუტური თავისუფლების აღდგენად არის აღქმული, შეიძლება უფრო დიდ ბენეფიტად მიიჩნეოდეს, ვიდრე დანაკარგად. თუმცა, შიდა აუდიტორიისთვის შექმნილი საზეიმო განწყობის მიუხედავად, სწორედ ზემოთ განხილულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ დანაკარგი მოქმედი რეჟიმისთვისაც კი თვალშისაცემია, რამდენადაც მას ხელიდან გამოეცალა ის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, რომლითაც ორი ათწლეულის განმავლობაში ეფექტურად მანიპულირებდა მთელი სისტემით საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის მიზნით.